№ 230 6 ნოემერი, სამშაბათი 1866—1879 6 ნოემბერი, სამშბათი № 230

დროება

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბ ოს ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: [illegible] ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: [illegible] 1 კაპ., [illegible] ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ:

I

„ᲨᲣᲠᲘ“

ᲓᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲛ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗ

II

„ᲑᲜᲔᲚ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ“

ᲕᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗ

ᲐᲜᲢᲠᲐᲥᲢᲨᲘ ᲣᲤ. Კ. ᲛᲔᲡᲮᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲘᲛᲔᲠᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲓᲐ ᲐᲮᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲰᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲗᲐ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ.

ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ, ᲔᲒ. Ი. 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲒᲔᲐᲛᲓᲘᲜ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ — ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲚᲔᲑᲐ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲐᲛ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲖᲔ. ᲔᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲖᲔᲓ; ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ, ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ, ᲧᲣᲠᲘᲡᲛᲒᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲡᲩᲐᲜᲡ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐᲝ, ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ ᲪᲣᲓᲘᲐᲝ, ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲙᲚᲘᲐᲗ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲔᲑᲡᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲡᲝᲤ. ᲣᲓᲔᲓᲐᲛ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲬᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲔᲢᲧᲣᲕᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲑᲡᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡᲝ, ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡᲐᲝ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ; ᲛᲝᲒᲔᲑᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲛᲔᲕᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲡ, ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲡ, ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ-ᲓᲐ-ᲘᲛᲐᲕᲔ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲝᲠ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ. ᲒᲕᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ, ᲠᲐᲢᲝᲛ „ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲤ. ᲚᲘᲮᲐᲩᲝᲕᲘ ᲐᲠ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ ᲙᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲒᲐᲜᲡ ᲘᲡᲔ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲡ? ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ — ᲠᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲐᲛ ᲗᲤ. �გᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ. ᲘᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲗᲘᲐ-ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲡᲬᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲖᲔ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲓᲐ-ᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲘ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲬᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲡᲬᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲖᲔ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲓᲐ-ᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲘ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲬᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲗ ᲐᲛᲐᲗ ᲘᲥᲘᲓᲐᲛ.

ᲗᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲭᲔᲛᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲤ. ᲚᲘᲮᲐᲩᲝᲕᲘ, ᲐᲛ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲬᲐᲑᲐᲫᲝᲡ. ᲜᲣᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲬᲜᲘᲡ „ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲗᲥᲕᲐᲡ — ᲐᲥᲐᲝ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡᲝ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡᲝ?

ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲣᲮᲔᲘᲠᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲬᲧᲣᲕᲐᲜᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐ (ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡᲐᲛ) ᲓᲐᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ: ᲮᲐᲚᲮᲘ ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ-ᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲐᲪ ᲢᲧᲣᲘᲚ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲗᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲰᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲠ ᲡᲪᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲫᲔᲜᲔᲜ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘᲡᲐ; ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲨᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲘᲛᲐᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲠᲐᲡᲛᲔ; — ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ; ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲡ. ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲫᲐᲚ-ᲓᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲔᲪᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ; ᲣᲮᲔᲘᲠᲝᲗ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲙᲐᲠᲒ ᲨᲙᲝᲚᲐᲡᲐᲪ ᲐᲚᲐᲠ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ ᲡᲠᲣᲚ ᲘᲛᲔᲓᲡ, ᲠᲝᲛ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲪᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲘᲒᲘᲐᲜ, ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲝᲡ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ. ᲝᲗᲮᲘ-ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲤ. ᲚᲘᲮᲐᲩᲝᲕᲘ ᲘᲡᲔ ᲕᲔᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲘᲒᲘᲐᲜ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲞᲘᲠᲡ ᲨᲔᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ; ᲘᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲜ-ᲓᲐ-ᲗᲐᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ, ᲕᲔᲠᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲘᲛᲗᲝᲜᲨᲘ

კარგად და შაგირდების რიცხვიც თანდა-თან ჰკლებულობს. ფული იხარჯება, —ხეირიანად, თავიანად დაიხარჯოს..

ს. მ.

დღიური

*** რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„იმ ზარალის გამოსაკვლევად, რომელიც შავი ზღვის ნაპირას მცოვრებლებს ძიეცათ უკანასკნელი ომის დროს, დანიშნული იყო ცალკე კომისია. ამ კომისიამ გაათავა თავის საქმე. მარტო სოჩის მაზრის მცხოვრებლებმა გამოუცხადეს კომისიას, რომ იმათ 461,820 მანეთის ზარალი მიეცათ; ნოვოროსიისკი 114,000 მანეთს ზარალს თხოულობს, ანაპა 200,000-მდინ. სოხუმის მაზრა ერთ მილიონზე მეტს.

ზემოხსენებულ გაზეთებში არაფერი არ არის მოხსენებული იმის თაობაზედ— თუ რა განკარგულებას ახდენს მთავრობა ამ საგანის შესახებ: მიეცემა დაზარალებულ მცხოვრებლებს სრულად ან ერთი წილი მაინც თავიანთი ზარალი, თუ არა, თუ მიეცემა, როდის და რა წესით? ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ამგვარი ზარალი რუსეთმა ოსმალეთს უნდა გარდაახდევინოს, მაგრამ თუ იმდროამდინ უცადა მთავრობა ხალხის დაკმაყოფილებას ვინ იცის—როდის მოესწრებიან, და იქნება სულაც ვერ ეღირსოსთ ვერაფრის მიღება..

*** ამ ორი თვის წინათ თფილისში ერთმა ახალმა სომხურმა გამოცემამ დაიწყო გამოსვლა: თ. მიხ. ბებუთოვი სცემს დრო - გამოშვებით ჟურნალისავით პატარა წიგნებს, რომელთაც საზოგადო სახელი ჰქვია: „ს ო მ ხ უ რ ი თ ე ა ტ რ ი.“ ამ წიგნებში იბეჭდება ზოგიერთი პატარა ვოდევილები, შინაარსი იმ კომედიებისა და დრამმებისა რომელსაც აქაური სომხის ტრუპპა თამაშობს და აგრეთვე რეცენზია ნათამაშევი პიესებისა.

ჩვენ შეეტყეთ, რომ გამომცემელი ეძებს იმისთანა კაცს, რომელმანც ქართული თეატრის განყოფილების წაყვანა იკისროს ამ გამოცხადებაში; ამბობენ, ამ უკანასკნილ განყოფილებას უფ. ბ. წერეთელი ჰკისრულობს.

იმერეთის სამღვდელოების ყრილობა ჟუთაისში.

ამ თვის 17, 18 და 19 რიცხვებში იმერეთის სამღვდელოების ყრილობა არის დანიშნული ჟუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ყრილობას შეადგენს დეპუტატები, რომელნიც ათი კრებულისაგან არიან აღრჩეულნი.

რაზედ უნდა ექმნეს ამ ყრილობას მსჯელობა, თუმცა ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ბევრ საგნებზე შეხვდებათ ლაპარაკი და საქმის გადაწყვეტა; ამისათვის მე მსურს მივმართო ამ კრების დეპუტატებს რამოდენიმე სიტყვა, რჩევა და დარიგება, რომელნიც მათთვის უსარგებლო არ დარჩება, თუ კარგათ მოიფიქრებენ და ყურადღებას მიაქცევენ. რადგან საუბედუროდ, სასულიერო ჟურნალი ჩვენში არ არსებობს იმედი მაქვს, უ. რედაქტორო, მომცემთ ნებას თქვენის გაზეთის საშუალებით გამოუცხადოს ეს ჩემი აზრები მათ.

ამ უკანასკნელ დროს თფილისში მოხდენილმა სამღვდელოების ყრილობამ აღძრა რამოდენიმე საინტერესო კითხვები და, ჩემის აზრით, ეგონებ, უადგილო არ იქმნება ესთქვათ ორიოდე სიტყვა იმაზე—თუ როგორ უნდა მიდიოდეს სამღვდელოების ყრილობის საქმე და როგორ მიდის ჩვენს საქართველოში.

რიცხვისამებრ სასწავლებელთა უნდა იყვნენ სამღვდელოებაც გაყოფილნი. ერთი სასწავლებლის სამღვდელონი შეადგენენ ერთ ოკრუს (ოლქ). კანონი თხოულობს, რომ ერთი ოლქის სამღვდელონი იყვნენ გაყოფილნი ათ-ათად და თითოულზე იყოს ერთი დეპუტატი აღრჩეული. მაგრამ ჩვენში ეს უქაზი არასოდეს არ ასრულებულა.

ხშირად მომხდარა, რომ ოთხ კრებულს ერთი დეპუტატი გაუგზავნია. მაგალითად, ესთქვათ, ერთ ბლაღოჩინს, ოც-და-ექვსი კრებული ჰყავს თავის საბლაღოჩინოში. ეს ორ დეპუტატს ირჩევა ოცი კრებულისაგან და ექვსი უხმოთ რჩება... ეს არ უნდა იყოს, მაგრამ, საუბედუროთ, ასეა. უნდა იყოს გამოცემული კანონები—თუ რა წესით უნდა ირჩეოდნენ დეპუტატები და რამდენი ხნის ვადით, მაგრამ არც ეს სრულდება ჯერ.

დეპუტატებმა უნდა იცოდნენ წინდაწინ უმთავრესად რაზედეც ექმნებათ მსჯელობა, მაგრამ ესეც ძვირათ მომხდარა, რომ გამოცხადებოდეს მათ როდესმე...

დეპუტატებმა თვითონ უნდა დანიშნონ დრო თუ როდესაც უნდა შეიკრიბნენ, მაგრამ ამ უფლებასაც არიან იგინი მოკლებულნი და იბარებენ ძლიერ ცუდ და დაუმარჯვებელ დროს. აქ, საუბედუროდ, სასწავლებლის ზედამხედველების აზრი არის კანონზედ ... ...ული...

სამღვდელოების დეპუტატებს სრული უფლება აქვსთ მოსთხოვონ ანგარიში ყველა იმ ფულებისა, რომელიც მათ ეხარჯებათ სასწავლებლის შენახვაზე. მაგრამ სამღვდელოები ბევრს რამეს არიან მოკლებულნი ჯერჯერობით. არ შეიძლება, რომ ბერი ვინმე იქმნეს აღრჩეული დეპუტატად, მაგრამ გვინახავს ჩვენ ჩვენი თვალით, რომ ბევრი ყოფილა დეპუტატად.

თუ ესეები ძალით არ მოითხოვა სამღვდელოებამ, დიდ ხანს იქმნებიან კიდევ მოკლებულნი რასაც ანიჭებს მათ კანონი...

ჯერ ისეც არაფერი სახარბიელო უფლებაები აქვსთ მინიჭებული სამღვდელოებას და იმასაც თუ დაკლეს, რაც მინიჭებული აქვსთ, მაშინ სულ აღარაფერი იქმნება. მართალია, ცხადათ და აშკარად დაამტკიცა გამოცდილებამ ზოგიერთის მხრით სასწავლებლების წესდებაების გამოუდეგარობა ცხოვრებაში, მაგრამ რა გაეწყობა?—ჯერ კარგა დრო გაიელის, სანამ ჩვენი სასწავლებლების წესდება შეიშლებოდეს..

იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებს ბევრ საგანზე შეხვდებათ ლაპარაკი და საქმის გადაწყვეტა. ყველა ჩვენი ოთხკლასიანი სასწავლებლები საქართველოში ცუდ მდგომარეობაში არიან.

სხვა სასწავლებელში, სადაც ორასი შაგირდის მეტი არ არის, ეს ცუდი მდგომარეობა არა სჩანს და არც ასე საგრძნობელია, როგორც ჟუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 700 ბავშვია. ბევრი ლაპარაკი იყო ამ სასწავლებლის უწესო მდგომარეობაზე და ბევრი რამეც იწერებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს აღარაფერი ისმის. ეს მიტომ კი არა რომ კარგ მგომარეობაში იყოს; არა,—ეხლა უარესად მიდის საქმე, მაგრამ მთქმელი აღარაევინ არის. წინეთ ამ სასწავლებლის სამღვდელოების მხრით ისეთი წევრები ჰყავდა, რომელნიც არაფერს ფარავდნენ, მაგრამ, უ. ძუეშინსკის და პოტოცკის წყალობით ამ სასწავლებლის ზედამხედველმა მოიშორა ისინი თავიდამ და ისეთი წევრები დანიშნეს მათ მაგიერად, რომელთაგან არაფერზე უთანხმოების განცხადება არ შეიძლება. ისინი სრულებითაც არ ესწრებიან ხოლმე სამართველოს სხდომებზე; შინ გაუგზავნიან იმათ ხელის მოსაწერათ ჟურნალებს და იქ აწერენ; ამათ არც კი იციან რაზედ აწერენ ხელს! ამ წევრებს მე სრულებით არ ვამტყუნებ მისთვის, რომ ასე თხოულობენ სამსახურს და ისე ემსახურებიან ისინიც!...

როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევრი სალაპარაკო საგანი ექნება დეპუტატებს, მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციონ:

1). სამღვდელოებისაგან ყოველ წელს შეტანილ ფულებს. აქ უნდა გაიგონ, რამდენი შედის ყოველ წელს? ᲣᲕᲔᲚᲐᲡ შეაქვთუ არა? თუ არ შეაქვსთ, რა მიზეზისათვის? ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ცამეტი ათასი მანეთი შეუტანელი ფული არისო ძველი წლებისა.

2). შეჭმულ და ბოროტად მოხმარებულ ფულებს. კომისიამ, რომელიც ამ უკანასკნელი სამღვდელოების ყრილობამ დანიშნა რევიზიის მოხდენისთვის, აღმოაჩინა, რომ განსვენებულ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სხვა მრავალ ფულებთა შორის გამოერთმია რამოდენიმე დეპუტატებისათვის მობოჯილი ფულები 600 მ. და თავის საჭიროებაზე მოეხმარა. სამღვდელოების დეპუტატებმა უნდა დანიშნონ კომისია და მას მიანდონ რევიზიის მოხდენა ფულების შესავლის და გასავლისა. ᲐᲛ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ მათ შეუძლიათ დანიშნონ არა დეპუტატთაგანი პირებიც და ოთხი თვის ვადა მაინც უნდა მისცენ, რომ შეასრულონ დეპუტატების მინდობილება. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐ კომისიის დანიშვნა ძლიერ საჭიროა და აუცილებელია. საერო წოდების შვილები ძლიერ ბევრნი არიან ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ სასულიერო სასწავლებელში; მათგან სწავლის უფლების ფული ბევრი შემოდის და როგორ და რაზედ იხარჯება კაცმა არ იცის...

3). ზოგიერთ პირებზე უსაფუძვლოდ დანიშნულ ჯამაგირებს. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ უსაფუძვლოდ დანიშნულ ჯამაგირებს ბევრი პირები იღებენ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ტყუილა მჭამლებში პირველი ადგილი უკავია ეკონომს. ᲔᲠᲗᲘ ვილაცა მღვდელია, რომელსაც ადგილი ეეღარ უშოვნია, გაუგია, რომ სასწავლებელში არის ოხერი ფულებიო; დაურქმევიათ მისთვის ეკონომი და აძლევენ ფულებს. ᲔᲡ მღვდელი სოფელშია და ოც რიცხვს მოვა ხოლმე სასწავლებელში მარტო ჯამაგირის მისაღებად; მიიღებს თუ არა ჯამაგირს, მაშინვე წავა სოფელში და ერთი თვის გასვლამდინ აღარ მოვა. რა მღვდლების გადასახადია, იმან რომ პრიხოდი ეერ იშოვნოს? მე შეეხვდი ერთჯერ ამ პირს და უთხარი რატომ სასწავლებელში არ სცხოვრებს. მაგრამ იმან აი რა მითხრა: „მე არაფრის ყიდვაზე არ მიმიშვებენ; მეუბნებიან: შენ შენთვის იყავი, ჩვენ ვიყიდითო. რავქნა თუ არ მიმიშვებენ ჩემს თანამდებობაზეო?“ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ტყუილა მჭამლებში მეორე ადგილი უკავია სამმართველოს საქმის მწარმოებელს. სასწავლებლის წესდების § 45 ძალით, სამმართველოს საქმეს უნდა აწარმოებდეს თანაშემწე ზედამხედველისა. ზედამხედველის თანაშემწე ამაზედ ბრძანებს, რომ ამ საქმის წარმოება არ შემიძლიაო, რადგან ბევრი შაგირდები არიან ამ სასწავლებელშიო. ᲘᲡ შაგირდებს არც ბევრს და არც ცოტას ყურს არ უგდებს. შაგირდები ზნეობითად ცუდ მდგომარეობაში არიან და არც წესია დაცული მათში. ᲐᲛᲐᲡ გვიმტკიცებს ჩვენ სხვათა შორის ეპისკოპოსის შენიშვნა მიცემული თანამემწისადმი. თუ დრო არა აქვს ზედამხედველის თანაშემწეს, რათ იღებს გაკვეთილებს? ᲘᲡ ვალდებულია აიღოს მარტო ექვსი გაკვეთილი, რომელშიაც ფულს არ უნდა იღებდეს თავის ჯამაგირის გარდა, მაგრამ ის მზათ არის აიღოს თვრამეტი გაკვეთილი. ᲑᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲨᲘ ბლომათ ფულს იღებს სამღვდელოებისას, და არა ხაზინიდამ, და მას რა ენაღვლება?.. თავის პირ-და-პირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და სხვა საქმეს კიდებს ხელს, რომლიდამაც ბლომათ ფულს იღებს და ცხოვრობს თავისთვის. ᲐᲡᲔᲕᲔ უსაფუძვლოთ ხარჯვენ სამღვდელოების ფულებს ბიბლიოთეკაზე. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡ უნდა განაგებდეს უ. ზედამხედველი თანახმად § 94 სასწავლებელთა წესდებისა. მაგრამ რა ენაღვლებათ, ფულები ბლომათ არის და მსურველებიც მიღებისა ბევრნი არიან და აძლევენ კიდეც. მართალია, ასე მოგრძელილი ფულების მომჭირნეობით ხარჯვა, ეხლანდელ წყეულ დროში, შეუძლებელია, მაგრამ არც ერთობ ასე უთავბოლო ხარჯვა ვარგა...

(დასასრული შემდეგში)

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მე-214 ნომერში, სხვათა შორის, დაბეჭდილი იყო:

„ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲛ გახშირებული ქურდობი-„სა და ცარცვის ამბავი ისმის. ᲘᲕᲠᲘᲡ „ხეობიდამ გვწერენ, რომ სოფ. ᲣᲯᲐᲠᲛᲐᲡ „თათრები დასცემიან და სამასამდინ ცხვარი წაუსხამთ“ და სხვ.

ᲔᲡ ცნობა გადაბეჭდილი იყო რუსულ ადგილობრივ გაზეთებშიაც — „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ და „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოამბეში.“

თქვენ კარგათ მოიეხსენებათ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ განსაკუთრებით თელავის უეზდის ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲜᲘᲡ ამის გამო მკითხველი [illegible] რებს, თითქო ყველა ეს ქურდობა და ცარცვა ჩემდამი რწმუნებულის თელავის უეზდში ხდებოდეს, და ამნაირად, ამისთანა ცნობების წყალობით, თელავის უეზდის გამგებელს მიეცემა საყვედური იმაზედ, რომ იმას ვერ დაუცავს თავის უეზდი ქურდობა-მტაცებლობისაგანაო.

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘᲡ მიწერილობით № 4845 27 მაისს, სწორეთ იმ დოს, როდესაც გაზაფხული დგება, ტყე იმოსება ფოთლითა, მაღალი ბალახი იზდება და როდესაც ყველაზე უკეთესი დროა ცხენისა და საზოგადოთ საქონლის ქურდობისათვის—სუყველა თელავის მაზრის მამასახლისებს ფიცხელი ბრძანება აქვთ ჩემგან მიცემული შემდეგი განკარგულება მოახდინონ:

1). ᲘᲧᲝᲚᲘᲝᲜ სოფელში ღამით ყარაულები ისეთს ადგილებზე, საიდამაც მოსალოდნელია ქურდი და ანუ საიდამაც შეიძლება ის გაიპაროს.

2). ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲔᲑᲘ უნდა იყვნენ გამოწვეულნი რიგ-რიგათ ყოველის კომლიდამ; სოფლის მოხელენი ვალდებულნი არიან თვალ-ყური ეჭიროსთ, რომ ყველა თავის რიგზე გამოვიდეს საყარაულოდ და ყველამ რიგიანად შეასრულოს თავის მოვალეობა.

3). ᲦᲐᲛᲘᲡ ყარაულებს გარდა, დანიშნული უნდა იყოს აგრეთვე სამი და ხანმეტი კაცი აბჩოდათ, რომელთაც მოვალეობა ის არის, რომ შემოუარონ ხოლმე სოფელს ყოველის მხრით იმ ვანზრახვით, რომ დაიცვან ის ქურდობისა, ავაზაკობისა და საზოგადოთ ყოველგვარი უწესოებისაგან, და

4). Მამასახლისს, იმის თანაშემწეს და, თუ ესენი არ არიან სოფელში, ამათ კანდიდატს უფლება აქვს, როცა შეიტყობს, რომ სოფელში რამე დაიკარგა, ყველა მცხოვრებლები ფეხზე დააყენოს, დაყენოს ყარაულები სოფლის ყველა შემოსასვლელ და გასასვლელ გზებზე, მონახოს ქურდის კვალი, დაიჭიროს თვითონ ქურდი და ყველა ამაებზე შეადგინოს პროტოკოლი და წარმოიდგინოს მე შემდეგის განკარგულების მოსახდენად.

Მე მგონია, რომ, თუ ეს წესები სასტიკად და ბეჯითად იქმნენ შესრულებულნი, ამ შემთხვევაში ბოროტ პირთა ბოროტ-მოქმედება, თუ სულ არ მოისპობა, ძალიან შემცირდება მაინცა.

Სოფლის მოხელეებს, ე. ი. მამასახლისებსა და იმათ თანაშემწეებს, უწყებული აქვთ ჩემგან, რომ, თუ იმათ ბეჯითად არ შეასრულეს ეს ჩემი განკარგულება და რამე დაიკარგა სოფელში, მე დავა-

ტუსაღებ იმათა და ჯარიმასაც გადაახდევინებ.

ამ გაფრთხილებითი ზომების მოხდენის შემდეგ, მე ძალიან იშვიათად მომდის ცნობა ჩემს უეზდში ცხენისა და საქონლის დაკარგვის თაობაზედ.

რაცა შეეხება თელავის უეზდში ქურდობასა და ცარცვას, არც ერთი ამგვარი შემთხვევა არ მომხდარა მას შემდეგ, რაც მე მამენდო ამ უეზდის გამგეობა. იყო მხოლოთ ერთი შემთხვევა: თელავის მცხოვრებმა ეფრემ არზუმანოვმა განაცხადა, რომ გასრული ღვინობისთვის 11-ს ის გაცარცვეს ვიღაც უცნობმა თათრებმა თელავის უეზდის სამზღვრებში. მაგრამ გამოძიებამ და ადგილის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს შემთხვევა მომხდარა, თელავის უეზდში კი არა, არამედ ზომბორის გზაზე, ვერანის-ამოსავალთან, ე. ი. თფილისის უეზდში.

ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ მოწყალეო ხელმწიფეო, დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში განმარტება, რომ ქახეთიდამ მოსული ცნობა გახშირებულ ქურდობისა და ავაზაკობის თაობაზედ თელავის უეზდს არ შეეხება. ბთხოვთ აგრეთვე, რომ შემდეგშიაც, როცა რამე ამბავის დაბეჭდვა მოგიხდებათ ქახეთიდამ, დაასახელოთ სახელდობრივ—რომელს უეზდში მოხდა ამბავი, რადგან მკითხველ საზოგადოების მომეტებულ ნაწილმა ნამდვილად არ იცის რომელი სოფელი ქახეთისა რომელ უეზდს ეკუთვნის—თელავისას, თფილისისას ანუ სიღნაღისას *).

თელავი უეზდის უფროსი
თ. ნ ჩოლაყაშვილი

თელავი, 30 ოქტომბერს.

*) ჩვენს გაზეთში პირ-და-პირ იყო მოხსენებული, რომ ავაზაკობა ბაკრის ხეობაში მოხდა, სოფ. საგარეჯოს და უჯარმას, რომელნიც თფილისის უეზდს ეკუთვნიან. შემდეგში ჩვენ შეგვიძლია, უფ. თელავის უეზდის უფროსის თხოვნის თანახმად, დავასახელოთ უეზდი, რომელშიაც რაიმე ამგვარი შემთხვევა მოხდება.

რედ.

განცხადებანი

კავკასიის მედიცინის საზოგადოება აცხადებს, რომ ტაინი სოვეტნიკის ე. რ. ბოგბლატის სახელობაზედ ქალების ბინაზაში დანიშნული **სტიპენდია ამ ჟამად თავისუფალია**, დაუჭერელია და ვისაც ამ სტიპენდიის მიღება ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ნ. უშაკოვს. (ქალონიაში, სახლის № 145). (5—5)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, რადგან ამ 1 ნოემბერს იწყება ვადა მომავალი 1880 წლის ვაჭრობის უფლებისათვის გილდიის და სხვა მოწმობის ფულის შემოტანისა ქალაქის ხაზინაში, ამის გამო მოიწვევს ყველას, ვისაც რამე ვაჭრობა, ანუ ხელობა და ანუ წარმოება აქვს დაუჩქარონ უპრავაში წარმოდგენა, ქალაქის სასარგებლოდ, აღნიშნულის გარდასახადისა და ამასთანავე მიღება ჯეროვან მოწმობებისა და ბილეთის აღება; უპრავა სთხოვს ზემოხსენებულ ვაჭრებს, რომ ნუ უცდიან ამ ფულის შემოსატანად წლის გათავებას და უკანასკნელ ვადას, რადგან იმ დროს ერთობ ბევრი გროვდებიან ერთად და თავის დროზე მოწმობის მიღებას დაბრკოლება მიეცემა. (3—3)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართველთათვის, შედგენილი ბ. კალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ტუკის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—8)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18	8			
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთაისს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 27 ოქტომბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი . .	2	20
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაპენტლი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თარაქმისა ფუთი .	3	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროკ. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	—
თამბაქო საშუალო ფუთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მიდ., წინამძღვაროვ. სახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჭურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტეა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჭურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტეა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ჭურავლევი.—ვენერ. და კანის; რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Ноябрь 1879 г. Типографія Меликова. ბეჭდავს ს. მელიქიშვილი. რედ. ნ. მეხუზი.